საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1766 2021 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

„2021 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის №626 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „2021 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის №626 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის (პროგრამული კოდი 31 03) „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, სააგენტომ კახეთის რეგიონში

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების, ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირებისაგან ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირისაგან (შემდგომში – ყურძნის ჩამბარებელი) 1 კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ ღვინის კომპანიებზე სუბსიდიის გაცემა შემდეგი ოდენობით:

ა) კახეთის რეგიონში :

ა.ა) 1 კგ რქაწითლისათვის – 0,35 ლარი;

ა.ბ) 1 კგ კახური მწვანისათვის – 0,35 ლარი;

ბ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ხვანჭკარის მიკროზონაში:

ბ.ა) 1 კგ ალექსანდროულისათვის – 3,00 ლარი;

ბ.ბ) 1კგ მუჯურეთულისათვის – 3,00 ლარი.";

ბ) მე-13 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში მოწეული ყურძნის ჩაბარება/მიღება ღვინის კომპანიების მიერ განხორციელდეს ჩამბარებლებთან შეთანხმებული ინფორმაციის (ყურძნის ჩამბარებელი, ჩასაბარებელი ყურძნის ჯიში და რაოდენობა, ყურძნის ჩაბარების ადგილი და დრო) პორტალზე – portal.wine.gov.ge-ზე განთავსების შემდგომ.";

გ) მე-14 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 2021 წლის რთვლის განმავლობაში შეისყიდის და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 (ასი) ტონა რქაწითლის ან/და კახური მწვანის ჯიშის ყურძენს, ხოლო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

რეგიონში, ხვანჭკარის მიკროზონაში – არანაკლებ 3 (სამი) ტონა ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენს;";

დ) მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$" ქვეპუნქტი:

„$გ^1$) შესყიდული 1 კგ ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის სანაცვლოდ ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 7,00 ლარს;";

ე) მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.გ" ქვეპუნქტი:

„დ.გ) ყურძნის ჩამბარებლისთვის/ჩამბარებლებისთვის ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის 1 კგ ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ არანაკლებ 7,00 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.";

ვ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. იმ შემთხვევაში, თუ ღვინის კომპანიას არ აქვს დასრულებული ყურძნის მიღების პროცესი და სააგენტოსათვის წარდგენილ განზრახვაში დაფიქსირებული აქვს არანაკლებ 100 (ასი) ტონა ყურძნის – რქაწითლის ან/და კახური მწვანის, ან/და არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის მიღების შესახებ ინფორმაცია, მას უფლება აქვს, მიიღოს სუბსიდიის თანხა, რისთვისაც ღვინის კომპანია ვალდებულია, 2021 წლის რთვლის მიმდინარეობის პროცესში წარადგინოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად კომერციული ბანკის მიერ სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია (ბენეფიციარი – სააგენტო), რომლის ოდენობაც 10%-ით უნდა აღემატებოდეს ღვინის კომპანიის მიერ მისაღები სუბსიდიის თანხას.".

№1

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**